გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

სახალხო თეატრი

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ადვოკატები**

კომ. 3 მოქ., რაფიელ ერისთავისა.

II

**„მათიკო"**

მესამე მოქმედება ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. დიდებულიძისა, იოსელიანისა, ცუციშვილისა; ბ.ბ. აწყურელი, ნებიერიძე, გამყრელიძე, ადამიძე, მჭედლიშვილი, გულისაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენი 30 კ. გალერეია: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

---

ქრათველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დანიშნულია ორი პრემია საუკეთესო ისტორიულ მოთხრობისათვის, რომელიც სივრცით უნდა იყოს: პირველი არა ნაკლებ 10 ბეჭდურ თაბახისა და მეორე—5 ბეჭდურის თაბახისა. პირველ პრემიად დანიშნულია 200 მან., ხოლო მეორედ 100 მან. პრემიით დაჯილდოებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეკზემპლიარისა, რომლის გაყიდვას შემდეგ ავტორს ეძლევა ყოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქმნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნან ნოემბრი 1-მდე 1891 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილს კონვერტში. ადრესი ქალაქს გარედ მყოფთათვის: Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. Тифлисъ.

(10—7)

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ლეიპციხში დაბეჭდილი „ვეფხვის ტყაოსანი", გერმანულად გადათარგმნილი არტურ ლეისტისაგან. წიგნი ლამაზად არის დაბეჭდილი და მშვენიერად გამოცემული.

*** კვირას, 25 ნოემბერს, საადგილ-მამულო ბანკის თეატრში მოხდა კრება მესამე ხარისხის ხმოსანთა ასარჩევად. ეს კრება გაგრძელება იყო წარსულს კვირას მომხდარის კრებისა და არც ამ კვირას დამთავრდა. დილიდგან მოკიდებული ნაშუადღევის სამ საათამდე და საღამოს 7 საათიდგან ღამის 2 საათამდე მარტო ამომრჩეველთა სიების შედგენას მოუნდნენ, ასე რომ კენჭის ყრა მაინც კიდევ არ მომხდა და შემდეგისათვის იქნა გადადებული. მკვახე ლაპარაკი ამ კრებაზედაც იყო, მაგრამ უწესოება-კი არა მომხდარა-რა.

*** წარსულს კვირა დღეს, ბაზრობაში კინაღამ უბედურება არ დატრიალდა. ერევნის მოედნიდგან ვიღაცას გამოუშვებოდა ულლიდგან ხარი და მორბოდა გაგიჟებული ხალხში. ბევრს ვაჭარს, გადმოუყარა სტოლებიდგან გასასყიდი საქონელი ტალახში. ხარმა კინაღამ ფეხ-ქვეშ გაიტანა ერთი ყმაწვილი, რომელსაც ვიღაც თათარმა ხელი სტაცა და გზიდგან ხალხისაკენ გადმოაგდო. ყმაწვილს ცოტათი გაეფხაჭნა ხელი ხარის რჩოლისაგან. ხარი, ვერ გაიგეს, ვისი იყო. ამ ბაზრობაზედ საშინელი სივიწროვეა ყოველთვის და თავისუფლად ბაზრობის დროს აქ გავლა შეუძლებელია. ხშირად კონკა და ეტლიც ჩერდება და თავისუფლად ველარ დადის სივიწროვის გამო.

*** თათრის მოედანზედ უხვად მოდის [illegible] აუოი, კარტოფილი, ხახვი და სხვა ნაწარმოები სოფლისა, მაგრამ კაცი აქ ისე ვერ მივა და ვერას იყიდის, რომ ტალახში არ გაითხუპნოს. საზოგადოდ ეს მეიდანი და აგრეთვე აელაბრის დიდი მეიდანიც მეტის-მეტად უსუფთაოდ არის შენახული და ისეთი ტალახი და წუმპეა, რომ კაცს არ გაევლება. ასევე უსუფთაოა ვერის მოედანი, სადაც ზემო ქართლელები ურმებით შეშებს აყენებენ. კაცი ისე ვერ შევა მოედანში და შეშას ისე ვერ იყიდის, რომ ნაგავში და საქონლის პატივში არ მოისვაროს.

*** უწმიდესს სინოდს ნება დაურთავს ტფილისის სასულიერო მართლმადიდებელს სემინარიისათვის, რომ გამოსცეს ჟურნალი „სავგზარხოსო სასულიერო მოამბე" რუსულსა და ქართულს ენაზედ. ამ ჟურნალის რედაქტორობა ევალად აძევს სემინარიის რექტორს, ხოლო იმის თანაშემწედ და ქართულის განყოფილების მეთვალყურედ დანიშნულია დეკანოზი ხელიძე. ეს ჟურნალი თვეში ორჯელ დაიბეჭდება და თითოეულს ნომერში 2—3 თაბახი იქნება. „სასულიერო მოამბეს" ბეჭდვა უნდა დაიწყოს პირველ მარტიდგან 1891 წ., ცენზორად დანიშნულია დეკანოზი ელიევი. ამ ჟურნალის გამოწერა ევალად უნდა დაედოს ყველა საქართველოს ეკკლესიას, ზოგიერთ ღარიბ და ხელმოკლე ეკკლესიას გარდა. ხელის-მოწერა ამ ორიოდე კვრას შემდეგ დაიწყება.

*** საბაშით: კნეინა ელინი [illegible] ასულის ლორთქიფანიძის გარდაცვალების ამბავმა ამიერ საბაშიოს სოფლებში უცბად მოიარა და დაანაღვლიანა გლეხკაცობა, მეტადრე ის ქალები, რომლებმაც ქართული წერა-კითხვა ისწავლეს განსვენებულისაგან.

განსვენებული ელენე დიმიტრი ყიფიანის ასული, რამდენადაც ჩვენ ვიცნობდით, ძლიერ გულ-კეთილი ადამიანი იყო და გათხოვებამდე უსასყიდლოდ ასწავლიდა სოფლის გასათხოვარს ქალებს წერა-კითხვასა სოფელს ქეიშხეთში. დღეს თითქმის ყველა საბაშიოს სოფელში მოიპოვება ქეიშხეთიდამ გათხოვებული ქალები, რომლებმაც წერა-კითხვა განსვენებულ ელენე დიმიტრის ასულისაგან ისწავლეს და აი ამიტომაც საკუთრად ჩვენ და საზოგადოდ ამიერ საბაშიოს ხალხი ვიგონებთ განსვენებულს ელენე-

---

## ფელეტონი

### ასის წლის წინად

### IV*)

### ტიკინი.

ერთს დღეს უბედურება დაემართა დომინიკს. ღვინით გალეშილმა მეეტლემ დომინიკს ეტლი დააჯახა, წააქცია და მუხლზე გადაუარა. დომინიკი დაჟეჟილის მუხლით ძლივს მილახლახდა სახლამდის. მეორე დილით შეხვეულის ბარძაყით კიდევ უნდოდა სავაჭროდ წასვლა, მაგრამ მადლენამ ცეცხლი მოიკიდა. თხოვნით რომ ვერა გააწყო-რა, უბრძანა, რომ ლოგინიდგან არ დაიძრაო. რამდენსამე დღეს შემდეგ ტკივილმა ცოტა არ იყო გაუარა, კოჭლობით ჩავიდა სამზარეულოში და ორიოდე ხინკალი გააკეთა.

მადლენამ არაფერი უთხრა, მაგრამ როცა დომინიკმა ტაბაკს ხელი მოავლო, წინ დაუდგა და გადაწყვეტით შესძახა:

— მე თითონ წავიღებ გასასყიდად!..

— თქვენ, მადლენა?..

— ჯერ ერთი ნებას არ გაძლევთ ქვეყნობით მომიხსენიო, რადგან ორივენი და-ძმასავით პატარაობიდგანვე ერთადა ვართ შეზრდილები. ჩვენში მარტო გარჩევაა, რომ შენ ძლიერი, მოხერხებული და გამოცდილი კაცი ხარ და მე-კი სუსტი და გამოუცდელი, მეც მინდა ფულები ვიშოვნო... მე წავალ ხინკლის გასასყიდად..

მეტი ღონე არ იყო, დომინიკამ ნათლად იცოდა, რომ წინააღმდეგობით ვერას გახდებოდა და დასთანხმდა მადლენას. დომინიკა ორს საათს შემდეგ ცალიერის ტაბკით დაბრუნდა...

სწორედ გასაკვირი იყო: ყოველ დღე მადლენა ერთი-სამად მეტსა ჰყიდდა დომინიკაზედ. დომინიკმა დაიჭირა ბიჭი და დიდი სამზარეულო გაჰმართა, რომ უფრო ბევრი ხინკალი მოემზადებინა. თითონ სიარული აღარ სჭირდებოდა. მადლენას იმდენი მუშტარი ჰყავდა, რომ დომინიკას თავის ბიჭით მადლენას მუშტრის დაკმაყოფილებას ვერც-კი ასწრებდა. სადილს შემდეგ ტაბაკს ივსებდა ხინკლით მადლენა და კენსინგტონის ბაღში მიდიოდა ხოლმე.

მადლენას თეთრ ყაისნალ-შემოვლებული მწვანე კაბა ეცვა და თავზე კოხტა ქუდი ეხურა. ტაბაკი წინ ბუზმენტ გადაკრულის ტყავითა ჰქონდა ჩამოკიდებული.

— რა ცუგრუმელა გოგონაა! არაერთხელ გაუგონებიათ მადლენასთვის მუშტრებს, მაგრამ მადლენა ყურადღებას არ აქცევდა, ბაღის კარებთან იდგა ჩუმად და რაც შეეძლო ვაჭრობდა.

ცხელს ზაფხულში ქალაქის ხალხი სულის მოსაბრუნებლად კენსინგტონის ბაღში გადიოდა და მადლენაც საღამოთი იმიტომ მიეჩქარებოდა თავისის ხინკლით ამ ბაღისკენ. საღამოობით მეტად საუცხოო სანახავი იყო კენსიგტონის ბაღი.

ბაღის შუა-გულში დიდი შადრევანი იყო გაკეთებული. ამ შადრევანის ირგვლივ მშვენიერი ხეივნები გაეშენებინათ. აი ამ ხეივნებში იკრიფებოდა ხოლმე ხალხი. შეყვარებულნიკი წყვილ-წყვილად უფრო ბაღის მყუდრო ალაგებს ეტანებოდნენ. კაცებს ზოლიანი, კუბო-კრული ტანთ-საცმელი ეცვათ. ქალები ხომ მოკლე კაბებით და ტიტველა მკლავ-მკერდით დაფრიალებდნენ სიცილითა და ხარხარით.

ყველა დროს თავის შესაფერი დედაკაცი ჰყავს იდეალად და ეს სუსტი არსებაც თავისს სხეულსა და სახის იმ იდეალის დაგვარად იკოწიწებს და იმახინჯებს. ბაღში მოსეირნეთაგან ჰკუადამჯდრობა და სიდარბაისლე... შორს გახლდათ. მოსეირნეთ მალე გაიცნეს ლამაზი ხინკალის ვაჭარი. შეიტყეს, პაწია ქალის ჩამომავლობაც და უფრო მიეტანენ, რასაკვირველია. ხინკლის ყიდვა და პატარა ვაჭარ ქალთან საუბარი აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა ამ უდარდელად და უზრუნველად მოსიარულე ბურჟუაზიისათვის.

მადლენას ღირსეულად ეჭირა თავი. დინჯად და აუჩქარებლივ ისტუმრებდა მუშტრებს. ერთს დღეს მადლენას ხალხი საშინლად მიაწყდა... საწყალი დაიბნა და აღარ იცოდა, როგორ დაეკმაყოფილებინა ირგლივ შემოხვეული მუშტარი. თავად როტლენდის მეუღლე შეეშველა პატარა ვაჭარს. ეს იყო და ეს, ამ დღიდგან წარჩინებულის გვარის ქალები ერთმანეთს ეცილებოდნენ ხოლმე; დღეს არა, მე უნდა უშველო მადლენას და არა, მეო... ახალგაზდა მადლენა დიდ-კაცობისა ისეთი საყვარელი შეიქნა, რომ უბრალო ხალხი ველარ ჰბედავდა იმისაგან ხინკლის ყიდვას და მხოლოდ შორიდგან ძლებოდნენ იმის ყურებით. განა თქმა-ღა უნდა, რომ საქმის ასე დატრიალებამ ერთის თვეში დომინიკას ხარჯ გარეითად, ას თუმანზე მეტი ფული მოაგებინა... მზე ჩაიდოდა თუ არა, დომინიკი მადლენას წამოსაყვანად მიდიოდა ხოლმე. ორივენი ყოველთვის დიდს ქუჩაზე ჩამოივლიდნენ, იმ ქუჩაზე, სადაც ხალხისა და ეტლების დიდი მოძრაობაა. მადლენა ხელი-ხელ გაყრილი ჩუმად მოსდევდა ძმობილს და იმ დღეს ნანახ-გაგონილის ფიქრგონებაში იყო ხოლმე გართული.

ერთს საღამოს დომინიკმა შენიშნა, რომ მადლენა როგორღაც აღელვებული იყო.. სახე გაწითლებოდა და თვალები ცრემლებითა ჰქონდა სავსე.

— მადლენა, რა ამბავია? ხომ არავინ არ გაწყენინა?

— არა, დომინიკ; არა...

დომინიკი არ აუხირდა, თუმცა-კი ეწყინა, რად მიმალავს, თუ დარდი აქვს რამეო.

— იცი, რა! მცირე სიჩუმეს შემდეგ უთხრა მიდელინამ, მე არ მინდა შენთან დაფარული მქონდეს რამე...

გეტყვი ყველაფერს, თუ პირობას მომცემ, და რომ არ გაჯავრდები... დომინიკმა პირობა მისცა. მადლენამ ჯიბიდამ ამოიღო წერილი და დომინიკს მისცა. წერილი ორ თაბახ ქაღალდზე ფრანგულის ენით იყო დაწერილი.

— ვინ მოგცა ეს წერილი?

*) იხ. „ივერიის" № 140.

სა დავწუხვართ იმის გარდაცვალების გამო.

*** **გორი:** კვირას, 25 ნოემბერს, გორის საკრებულო ტაძარში თავი მოიყარა აქაურმა ქართველობამ და დეკანოზს თავდგირიძეს პანაშვიდი გადაახდევინა უდროოდ გარდაცვალებულ პატივცემულ კნ. ელენე დიმიტრის ასულ ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად.

*** 26 ამ თვისას, ღამით, პოლიციის მეცხრე ნაწილში მცხოვრებელი კიევის გუბერნიის აზნ. ივანე თეოფილაკეტის ძე ჩესნოკი სიმთვრალის დროს ცოლს გამოეკიდა მოსაკლავად, მაგრამ პოლიციელმა მალე მოასწრო, შეიპყრო და პოლიციაში წარადგინა. ჩესნოკი იქაც გაიძახოდა, რომ უთუოდ უნდა მოვკლა ჩემი ცოლი, რადგან ურიგოდ იქცევაო. ცოლიცა და ქმარიც გამომძიებელს წარუდგინეს.

*** 27 ნოემბერს, დილის 11 საათზე, შორაპნის მაზრის მცხოვრებელმა ზაქარია ნეფარიძემ წერილით გამოაცხადა, რომ ახალს არსენალის ქუჩაზე ვცხოვრობ და ჩემთანვე იყო ჩემი ნათლული სოფ. ითხვისს მცხოვრებელი 13 წლის დათა გიორგის ძე კობიაშვილი. ეს ყმაწვილი ავად გახდა, 29 ოქტომბერს წავიდა სადღაც და მას აქეთია აღარა სჩანსო. აქამდეც მინდოდა გამომეცხადებინა პოლიციაში, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ მოვახერხეო.

*** 26 ნოემბერს, პოლიციის 1 ნაწილში დალაქი ვასილ იოსების ძე მარიაშვილი სიმთვრალის დროს შევიდა ხამსონ ქავთარიძის სადალაქო დუქანში, რომელიც გოლოვინის პროსპექტზეა, აილო სტოლიდგან სამართებელი და მარცხენა ყური მოიჭრა. მარიაშვილი სამკურნალოში წაიყვანეს.

## სახელოსნოს განყოფილების დაარსების გამო ახალციხის სამოქალაქო სკოლაში.

(წერილი ახალციხიდამ)

„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა—დაკარგულია.
შოთა რუსთაველი.

მე და ჩემს მკითხველს რომ დრო მოგვცენ ვიფიქროთ, ისეთის ძლიერის ოცნების პატრონნები ვართ, დარწმუნებული ვარ, შევიძლებთ სახლების მაგიერად მთელ საქართველოში დავაშენოთ ეიფელის კოშკის ტოლა სასახლეები, სადაც ათასს გვარს წარმოებას ფართო ადგილი ექნება განკარგებისა, სადაც სხვა-და-სხვა სასწავლებლები მისცემენ საშუალებას მოზარდს თაობას დეეწაფნენ მეცნიერების წყაროს, სადაც მრავალი წიგნთსაცავი ათასობით და ათი ათასობით მიიტაცებს ბრძენთა და მეცნიერთა, სადაც რედაქციები, ჟურნალ-გაზეთები, ლიტერატორთა კრებულნი მოფენენ მთელს საქართველოს, მთელს ხმელეთს განმანათლებელს სხივებს, სადაც ადუღდება სიცოცხლე, გაივსება ნეტარებითა და ყოველისავე სიკეთითა. მაშინ მე და ჩემი მკითხველი, როგორც ყოველისავე კეთილის დამწყობნი და მფარველნი, ვიწვნევთ იმ მაღალ სიამოვნებას, რომელსაც იგემებენ ხოლმე მხოლოდ რჩეულნი, ხოლო როდესაც ოცნება ისევ დაგვტოვებს, გადავავლებთ თვალს არემარეს და შევეყრებით ჩვეულებრივს წეს-წყობილებას, გვეწყინება, შევ უხდებით, მაგიერ სიამოვნებისა: ვიტყვით: რად, რად ჩაგვიარა ამოდენა შრომამ ფუჭად. ნუ თუ არავინ უნდა დაგვიფაროს, რომ თავები დავიმტვრიეთ, ქვეყნისთვის ვიფიქრეთ? არა! არა იმ-ტომ რომ ჭეშმარიტი სარგებლობა არავის მოუტანეთ, ჩვენ მხოლოდ ოცნების ვარჯიშობაში დავკარგეთ დრო. ცოტა მნიშვნელობა აქვს იმ კეთილს ფიქრს, რომელიც არ განხორციელდა: ცალიერი სიტყვა, წყობად შეერთებული ხმები, უხორცოდ, მხოლოდ ჰაერს მოიყვანს მოძრაობაში და იქვე სივრცეში გაიშლება, დაიფანტება; იქნება ბევრი კეთილი აზრები და დაწყობილებანი იბადებოდეს ჩვენს თავში, მაგრამ... „ფიქრი ჩვენნი განშორდებიან საქმეთა და მოქმედებათა ჩვენთა და განხორციელებამ აზრისამ კეთილისამ, მოინდომოს დაჭკნობა ჩვენი",—აი მიზეზი იმისი, თუ რატომ არ შეისხავს ხოლმე ხორცს ესა და ეს კეთილი ფიქრი. კაცს ძლიერ სამძიმოდ მიაჩნია სულის სამსახური, ძლიერ უძნელდება კეთილ საქმეს შესწიროს თავისი ყოველ-დღიური წვრილმანი ინტერესები; ამ შემთხვევაში საქმე და სიტყვა ვერ მიდის ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული. სიტყვას, თითქმის მომეტებულ შემთხვევაში, საქმე უსხლტება ხელიდამ და რჩება მარტოდ-მარტო. ამიტომ ჩვენ საზოგადოებაშიაც ძლიერ ცოტანი არიან იმ ნაირნი, რომელთაც სიტყვა დაუმორჩილონ საქმეს. აი მაგალითად, დიდი ხანია ვიფიქრეთ კიდეც და თითქმის ყველანი დავრწმუნდით, რომ საპროფესიონალო სკოლებისთანა თვალ-საჩინო სარგებლობა არც ერთს სკოლას არ მოაქვს, რომ სამეურნეო და სატეხნიკო სკოლები კარგს ნიადაგზე დაყენებული, გონიერულ წეს-წყობილიანი, ფეხზე წამოაყენებს ჩვენს გლეხ-კაცობასა და გაგვიზრდის იმ ნაირს განვითარებულს მუშაკებს, რომლებიც გონიერულად მოუვლიან თავიანთ მიწა-წყალსა და სამუდამოდ დიდს ფასს დასდებენ ჩვენს დავარდნილს მამულ-ადგილს; თუმცა ამ შემთხვევაში ყველანი ერთის აზრისანი ვართ და დიდი სურვილიცა გვაქვს გავავრცელოთ ამ გვარი სასწავლებლები, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სულ ოთხი სკოლა არ მოიპოვება ჩვენში, რომ ჩვენი ერქვას, იმიტომ-კი არა რომ ძალა და ღონე არ შეგვწევდეს, არა! იმიტომ რომ რიგიანი დამწყობი, საქმის მოყვარე, ინიციატორი არა გვყავს. განა გორის, სიღნაღის, თელავისა და სხვა მაზრებისათვის საჭირო არ არის სახელოსნო-საპროფესიონალო სკოლები, განა ცოტა სარგებლობას მისცემს ასეთი საქვე მხარეს? მაგრამ პატრონი ვინ არის!? ერთმანეთის ყურებასა, ცდასა და ლოდინში, იქნება სხვამ მოგვეხედოსო, გვილამდება დღეები და წარმატება, განვითარება ჩვენის ხალხისა ფერხდება და თუ მოხდება ხოლმე იშვიათად რომ ვინმე გულ-შემატკივარი, მოხერხებული კაცი გამოჩნდება, მოინდომებს ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესობას, წესიერად საქმის დაწყობას, მაშინვე მისი მოძმენი აივსებიან შურით, გადაელობებიან, გამოჰკრავენ სარმას და შუა გზაში გულალმა დასცემენ. შემდეგ ეცდებიან ყოველივე მისი მოქმედება გააშავონ და ყოველს მისს ნაბიჯს ჩაურთონ რაიმე პირადის ინტერესის ანგარიში. ამისთანა ვაებატონებს რომ ჰკითხოთ, არ არის ისეთი კაცი, რომელიც განსაკუთრებით ხალხისათვის ზრუნავდეს და მის ზრუნვას სარჩულად კერძო, პირადი ინტერესი არა ჰქონდეს. თუნდა აგრე რომ იყოს, რაო მერე? ოღონდ კეთილი საქმე კეთდებოდეს და რას დავეძებ თუ მის მოთავეს თავისი განდიდება აქვს სახეში, სახელის მოხვეჭა უნდა. საჭიროა მხოლოდ ჩვენი განათლებული საზოგადოება ყურ-მახვილი და შორს-მჭვრეტელი იყოს, როცა ავსა და კარგსა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს: ავს გაჰკიცხავს და კარგს აქებს, გზას გაუკვლევს. დიდი გამომაფხიზლებელი ძალა აქვს განათლებულს ჩინებულ საზოგადოების მსჯელობას, დიდი და მაღალი მნიშვნელობა აქვს საჯაროდ წარმოთქმულს სიტყვას—„ჰოს", ანუ „არას". „კარგია" ანუ „ცუდია" ასეთი დროზედ თქმული სიტყვები, როგორც მალამო წყლულს. ისე მოულბობს გულს იმედ-დაკარგულს, შუა გზაზედ გაჩერებულს; კაცი ხელმეორედ საქმეს დაუბრუნდება ენერგიას მოუმატებს, ვინც უკვე მოქმედების ასპარეზზე დგას და მისცემს გამბედაობას, ვისაც სურს, შეუდგეს კეთილ გზას. ამიტომ სრულიად მეტი არ იქნება აქ დავასახელოთ ის სასარგებლო საქმე, რომელიც აქნობამდისინ მხოლოდ სურვილი იყო და დღეს-კი გაკეთდა, განხორციელდა.

აი საქმე როგორ იყო: რამდენმამე კაცმა თავიანთის სურვილით შრომითა და მეცადინეობით დააარსა ფრიად მშვენიერი სახელოსნო სკოლა ახალციხეში საქალაქო სკოლის პირდაპირ. მან აქ ჩაჰყარა საძირკველი იმ ტაძრისა, რომლის საკურთხევლიდგან გადმოდინდება მადლიანი ძალა და მოეფინება ახალციხის მაზრის მიწა-წყალს. ამ სკოლას, როგორც საზოგადოდ სასწავლებლებს, მეტადრე სპეციალურს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ცხადია ყველასთვის; გაკვრით-კი ვიტყვით, რომ საგანი სახელოსნო სკოლისა ის არის, რომ დააკმაყოფილოს უმთავრესი მოთხოვნილებანი, რომელიც არსებობს ჩვენს ხალხში, ე. ი. მისცეს მუშა ხალხს ახალი, მომზადებული ძალაგონიერი და, მაშასადამე, უფრო ღონიერი, რომ შრომას და ტანჯვას მიწის შემაყურებლისას დაედოს ფასი; ეს სკოლა იქნება დამატება საზოგადო კურსისა სამოქალაქო სკოლაში; გარდა იმისა, რომ აქ ჰკუას და გონებას ავარჯიშებენ, ამასთან ერთად ჯან-ღონესაც არ დასტოვებენ უყურადღებოდ და სხვა ხელობასაც და ამ გვარად შეუერთდება სასარგებლო სასიამოვნოს. გარდა ამისა აქ ძალა-უნებურად შეეჩვევიან, შეისწავლიან, რა ნაირად უნდა დეემორჩილნენ ბუნების კანონებს, რომ მათზედვე ადვილად იბატონონ. შეასრულებს თუ არა ეს სასწავლებელი თავისს უმაღლეს დანიშნულებას, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი გულ-შემატკივარი, ამ საქმის მოყვარული, მცოდნე და დახელოვნებული მეთაური ეყოლება, როგორ შეუერთებენ მასწავლებლები თავიანთ ცოდნასა და მეცადინეობას ამ სკოლის საქმეებს და როგორის თანაგრძნობით ადევნებს თვალყურს ამ სკოლის ბედ-იღბალს, როგორც უმაღლესი მთავრობა, აგრეთვე მახლობელი საზოგადოება. ხოლო თუ იმ მდგომარეობაში დარჩა სასწავლებელი, როგორშიაც ეხლაა, ეჭვი გვაქვს, რომ რიგიანად შეასრულოს თვისი დანიშნულება.

მკითხველი უეჭველია მკითხავს, როგორ და რა ნაირად დაარსდა სასწავლებელი და რამდენის კაცის მეცადინეობითაო! აი ამის პასუხი: საქმის დამწყები თვითონ უმაღლესი მთავრობა არის. საყოველთაოდ გამოცხადებულია განკარგულება, სადაც შეხაძლებელია ეცადნენ სკოლების უმეტესები დააარსონ სახელოსნო სასწავლებლები, როგორც დამატებითი ძალა სამოქალაქო სკოლის კურსისა. წინანდელი მზრუნველი ბ-ნი ევრაზიოვი ამზადებდა საზოგადოებას ამ აზრის განხორციელებისათვის და თითქმის ნახევარ საქმე შე-

---

— ვილაც ახალგაზდა ყმაწვილმა.

— მერე როგორ გადმოგცა?

— ხინკლის ფულს რომ მაძლევდა, ფულთან ერთად ეს წერილიც ხელში მომცა.

— შენც გამოართვი და შეინახე?

— შენ ხომ პირობა მომეცი, რომ არ გავჯავრდებიო.

— არ-კი ვჯავრობ, მხოლოდ მიკვირს: მაშ წაიკითხე კიდეც წერილი?

— განა დიდი ცოდვაა ამისთანა წერილის წაკითხვა? მერე იმდენი ვიცინე, იმდენი ვიცინე, რომ რა გითხრა. ვილაცას შევყვარებივარ, თურმე პატარა აღარა ვყოფილვარ...

— საუბედუროდ პატარა აღარა ხარ...

— ეს ახალი ამბავია ჩემთვის! ვიცი, რომ შენც, ჩემს დედ-მამასაც, ბიძასაც და პაპა ბებიასაც ვუყვარვარ... მაგრამ ის ყმაწვილი კაცი-კი სულ უცხოა და მაინც ჩემი სიყვარულისაგან თურმე დაბნედილია. შევყვარებივარ!.. უკანასკნელი სიტყვა ისე ნაზად, ისე ტკბილად სთქვა მადელინამ, რომ დომინიკს ჟრუანტელმა გაურბინა, თითქო თავიდგან ფეხებამდე ცივი წყალი გადაავლესო.

— ეს წერილი-კი სისულელეა და ამის მომწერი არც საშიშოა, მაგრამ ამას სხვაც არ მოჰყვეს, იმისი მეშინიან...

— ვინც მე შემიყვარებს, იმათგან შენ რად უნდა გეშინოდეს... განა სიყვარულთან წყენაც შესაძლებელია! მე მხოლოდ რესპუბლიკელებისა და ქურდებისა მეშინიან.

— პატიოსნების ქურდებიც არიან, მადელინა.

— არ მესმის, რას ამობ!

— შენ არ იცი, რომ ამ დიდს ქალაქში, სადაც ჩვენა ვცხოვრობთ, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ობოლი ახალგაზდა ქალები იღუპებიან და იკარგებიან. ამ საბრალოებს ზნეობა-დაცემული, სინიდის-დაკარგული ყმაწვილი კაცები, მოტყუებით შეიჩვევენ ხოლმე, მიიტყუებენ, ჩასვამენ ეტლში და მიჰყავთ იქ, სადაც პატიოსნება და სინიდისი შელახულ - შებღალულია, სადაც ქალები პირუტყვებად არიან გადაქცეული და ნამუსით ისევე ვაჭრობდნენ, როგორც საქონლით...

— საშინლად მაშინებ, დომინიკ! დღეის შემდეგ მარტოკა აღარსად წაველ და თან ან პეგის, ან ვენსანს წავიყვან... კარგი იქნება?

— სწორედ.

— ეხლა-კი დროა დავისვენოთ, რადგან ხვალ ქალაქ გარედ სოფლისაკენ ვაპირებ წასვლას. დომინიკი გამხიარულდა... სიყვარულის წერილი დახია და ქარს მისცა. იმათ შორი-ახლო შეყვარებული ადევნებდა თვალს.

დაინახა, რა ბედიც ეწვია იმ წერილს, რომლის წერასაც მთელი ერთი კვირა მოუნდა... მწარედ ამოიოხრა და თავ-ჩაღუნული შინისკენ გასწია.

მეორე დღეს ჯერ კიდევ დილა იყო, რომ დომინიკი და მადელინა გრინპარკის დასავლეთის მხრივ მინდვრებისკენ მიეშურებოდნენ და პირდაპირ ძველს ჩელსში მიდიოდნენ... ჩელსის წინად „სასახლის სოფელს" ეძახდნენ. მადელინას თავის საუკეთესო ტანისამოსი ეცვა. დომინიკასაც საშინლად უხდებოდა ბურჟუას ტანსაცმელი.

გაიარეს ჩენ-ჟოკი და შევიდნენ „ხელიგვენის" დუქანში, ასის წლის წინად კარლ II საყვარელი აქა სცხოვრობდა... ჩვენს მგზავრებს იმის დარდი არა ჰქონდათ, თუ რა იყო ოდესმე ეს არემარეო; დუქნის უკანა ბაღში გავიდნენ და პატარა ყვავილებით შემკულს ხეივანს ქვეშ დასხდნენ.

კარგა ხანი იყო, რაც ჩვენი ახალგაზდები სოფლის თავისუფალს ჰაერზედ აღარ ყოფილიყვნენ და სწორედ ამიტომ ორივენი ხარბად ეწაფებოდნენ მშვენიერს სიოს.

სადილს შემდეგ მოხუცმა მენავემ, რომელიც დილიდგანვე სიამოვნებით შეჰყურებდა ამ სიცოცხლით სავსე ახალგაზდებს, ორივენი მდინარის მეორე მხარეს გადაიყვანა. მადელინამ მრავალი მინდვრის ყვავილი მოკრიფა და კოხტა კონა შეკრა. მინდორში სიარული რომ მოსწყინდათ, იქვე ხის ჩრდილს ქვეშ მწვანეზე წამოწვნენ. მზე დასავლეთისკენ გადიწურა, როცა ჩვენი მგზავრები ისევ უკან დაბრუნდნენ.

— მოდი პირდაპირ ნავით წავიდეთო, სთხოვა მადელინამ დომინიკს. დაუძახეს ნავს. მადელინა მთელი დღე მოძრაობაში იყო და ცოტა არ იყო მოიქანცა და მოიღალა. ნავში რომ ჩაჯდა, მიეყრდნო დომინიკს და თვალები მილულა. დომინიკი უძრავად იყო და ჩუმად დასცქეროდა მადელინას მშვიდსა და გაჰარხლებულს სახეს. მადელინას არ ეძინა, ისიც რაღაც სიამოვნებით დახუჭულ წამწამებიდგან გამოიჭყიტებოდა და თავისს თანამოგზაურს ათვალიერებდა. შეჰყურებდნენ ორივენი ერთმანეთსა და სრულიად არა ჰგრძნობდნენ, თუ ორივეს გულში რა ჯოჯოხეთური ცეცხლის ნაპერწკალი ღვივდებოდა.

— აგერ გუნგერფორდის კიბე, აქ უნდა ჩამოვიდეთო, სთქვა დომინიკმა.

— მოვედით განა? დაღონებით წამოიძახა მადელინამ და უნდომლად წამოიწია. დომინიკი გადმოხტა და ნაპირიდგან ხელი მიაწოდა გადმოსაყვანად. აქ კიდევ შეხედეს ერთმანეთს... მადელინას რაღაც ჟრუანტელმა გაურბინა მთელს სხეულში და რაღაც შიშით მიაწოდა ხელი. მერე რად უნდა ჰშინებოდა იმ ხელისა, რომელსაც წინად გაფაციცებით ეტანებოდა ხოლმე? მოგზაურებმა სტრენდის ბაღში ივახშმეს. დინ-სტრის ქუჩაზე ყველას ეძინა, როცა მოვიდნენ სახლში.

— ღამე მშვიდობისა, უთხრა ჩვეულებრივ დომინიკმა, როცა მიიყვანა ის თავის ოთახამდე.

— ძილი ნებისა, ჩემო ბატონო, უპასუხა მადელინამ და შეიკეტა კარები.

დომინიკი უცაბედად ჩაფიქრდა... მადელინას პირველად ესმოდა ჩემო ბატონო... მერე რამ მოაგონა ეს ზრდილობა. ნეტა რა მიზეზია... ვერაფრით აეხსნა ეს საოცარი ამბავი, და შეწუხებული შევიდა თავისს ოთახში და გაუხდელადვე გადაწვა ტახტზე.

— ოხ! ძნელად რა იცნობა ადამიანის გული!..

(შემდეგი იქნება)

ასრულა, მაგრამ სრულიად შესრულება-კი არ დასცალდა, რადგანაც გადიყვანეს ბათუმში იქაურ სკოლის საქმის რიგზე მოყვანისათვის და იქიდგან გადმოიყვანეს ბ-ნი ბაღდანოვი, რომელმაც არ გააცია საქმე, მიჰყვა ვარაზიოვისაგან გატკეპნილს კვალსა და საქმეს თავი-თავს მოუყარა. რამდენისამე კაცისაგან კანონიერად შესდგა კომიტეტი, რომლის მოვალეობაც იყო რიგიანად ყური ეგდო საქმის წარმოებისათვის და მოეყვანა სისრულეში საზოგადოების სურვილი. კომიტეტის წევრნი ანუ მომქმედნი პირნი ბრძანდებოდნენ—მომრიგებელი შუაკაცი თ. გ. თარხნიშვილი, მაზრის უფროსი გრაფი ტიზენ-გაუზენი, ქალაქის თავი ბ-ნი ტერ-გრიგოროვი, კ. ქაჩხოევი, მეტყევეთა უფროსი დიჩესკული, ხაზინადარი ტერ-მიხაიევი, ასლანოვი, მოსესოვი, და სკოლის მზრუნველი ბაღდანოვი; თავმჯდომარედ კომიტეტისა იყო ამორჩეული ინჟინერი ბ-ნი ბრევერნი.

აი ესენი არიან ის კაცნი, რომელთაც ილავწეს, იშრომეს, იშუამდგომლეს, იძალავეს, ითხოვეს და შეაგროვეს იმოდენა ფული, რომ ეყო საქმის დამთავრებას. ფონდის დასაფუძნებლად, ჯერ თვითონ კომიტეტის წევრებმა, შეძლებისა დაგვარად, დაიჩხრიკეს ჯიბეები და შესწირეს ამ საქმეს თვითოეულმა არა ნაკლებ ორ-ორის თუმნისა და შემდეგ თვითოეულმა მიჰმართა იმ წყაროს, საიდგანაც უფრო უხვად იდენდა შემოწირულობა. ბ-ნმა თარხნიშვილმა რამდენჯერმე შეკრიბა ახალ-ციხის მემამულეები, უთხრა რამდენიმე თბილი სიტყვა შესახებ სახელოსნო სკოლისა, ითხოვა დახმარება და მართლაც ხელის მოწერით ბლომად ფული შეგროვდა შემომწირველთაგან. მათ შორის ბბ-ნთ კ. ქაჩხოევმა და ბაიბურთელმა შესწირეს როგორც ფული, ისე ხე-ტყე; შემდეგ გ. თარხნიშვილმავე მიჰმართა ბეგებს და ამათაც, ზოგმა ხათრით, ზოგმა თვით საქმის სიყვარულით შესწირეს სკოლას თითოეულმა არა ნაკლებ ორ-ორის თუმნისა. სხვათა შორის დიდმა მამულის პატრონმა ბეგმა ბ-ნმა ფეიზულამ შესწირა ხუთასი მანეთი ფულად და მასალით. ბ-ნს თარხნიშვილს მხარში უდგა აქაური ადმინისტრაციაც, რომელიც მარდად აგროვებდა შესაწირავს. მაზრის უფროსმა, გარდა ამ გვარის დახმარებისა, დიდი ზედ-მოქმედება იქონია ხალხზედ, რომელმაც საკმარისად შემოსწირა სხვა-და-სხვა საჭირო მასალა და მოჰზიდა თითქმის უფასოდ; სახოფლო სკოლების დარჩენილ ფულიდგანაც, გუბერნატორის თანხმობით, მაზრის უფროსმა გადასდო ამავე საქმისთვის 575 მანეთი; კომიტეტის თავმჯდომარემ ბაბრეევერნმა შენობის აგების ზედამხედველობა თვითონ იტვირთა, ჩააბა ამ საქმეში ხელოსნები, მეჯარადრენი და ამათაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს: ზოგმა კედლები აიყვანა ნახევარ ფასად, ზოგმა კარები გააკეთა, ზოგმა ღუმელი გააკეთა უფასოდ, ერთმა თავისის ხარჯით ააშენა ორი ოთახი (ათას მანეთად დაფასებული) და სხვა აქაური მოქალაქენიც სწირავდნენ შეძლებისა დაგვარად. ებრაელმა, რომელმაც ეხლახან მოიგო ორი ათასი თუმანი, შესწირა ორმოცი თუმანი; ქალაქმა მისცა სკოლას ოთხის დღის საბალო ადგილი ფერმისთვის და პირველშივე 300 მანეთი. ამასთანავე დაუნიშნა ყოველ წლივ სკოლას 2,000 მანეთი; სამოქალაქო სასწავლებელს ჰქონდა შეგროვილი ფული წარსულის წლებისა 995 მანეთი, რომელიც მთავრობის თანხმობით მოხმარდა ამავე სახელოსნო სკოლას.

ამ სახით მარტო ხელის მოწერით შეგროვდა 3137 მან. და 86 კაპ. ალეგრებით ახალთუმანსა და ახალციხეში და წარმოდგენებით შემოვიდა სულ 2295 მანეთამდე; სულ ერთიერთმანეთზე კომიტეტს ჰქონდა დაახლოვებით მარტო ფულად 7,303 მანეთამდის, სხვა შემოწირული შრომა და მასალა იქნებოდა 5000 მანეთზე მეტი და ჯერაც კომიტეტს არ შეუწყვეტია თავისი მოქმედება და კიდევ ნელ-ნელა აგროვებს ფულსა სკოლის სხვა საჭირო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აი ამ ფულით კომიტეტმა სულ ოთხს თთვეში გადაჭიმა ფრიად დიდი და მშვენიერი სასახლე, კარგად მომართული და მოწყობილი, სადაც ეხლა ბავშვები ხელობასაც სწავლობენ და საგნებიც თავისს რიგზე მიდის. შეგირდები გარედგან მოსიარულენიც არიან და პანსიონერებიც. პანსიონერები წელიწადში იხდიან 130 მანეთამდის.

დიახ, სასიამოვნოა, რომ კეთილმა საქმემ ასე იწარმოვა; უფრო იმიტომ არის სასიამოვნო, რომ მთელმა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრამ, დიდმა და პატარამ ამ საქმეში მიიღეს ასე თუ ისე მხურვალე მონაწილეობა. ვინ იტყვის, ეს საქმე გაკეთდა ისე რომ პირადი ანგარიში არავის არა ჰქონია-რაო. რასაკვირველია, ყველა შემომწირველს სახეში ექმნებოდა რამე ანგარიში, თავისი საკუთარი მოსაზრება, მაგრამ ამით რაო მერე. ჩვენ ხომ გულში ვერავის ჩაუძვრებით, ჩვენთვის ისიც საკმაოა, რომ ყველას მხნეობამ კარგი საქმე გაგვიკეთა. ყოველ ამასთან ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ ჩვენს პატარა საზოგადოებას არ ეყოფოდა არც ენერგია და არც ზნეობრივი ძალ-ღონე, თუ სხვა ძალაც არ მოჰშველებოდა, ისეთი ძალა, რომელმაც გადალახა ყოველ გვარი დაბრკოლება. ეს ძალა იყო თ. შერვაშიძე, ტფილისის გუბერნატორი, რომელმაც გამოუწვდინა თავისი ძლიერი ხელი ამ პატარა საზოგადოებას და მფარველობდა სიტყვითაც და საქმითაც. გუბერნატორმა თვითონაც მიიღო შრომა, მობრძანდა ახალციხეში, სასწავლებლის კურთხევაზე, შემოსწირა სკოლას ათი თუმანი ფულად, გარდა იმისა, რომ სხვა ღონის-ძიებაც ბევრი აღმოაჩინა, თავისის მობძანებით მისმა ბრწყინვალებამ გაამხნევა საზოგადოება და აღუთქვა, რომ ყოველთვის მზად ვარ დავეხმარო მაგისთანა კეთილს საქმესაო. ბ-ნ გუბერნატორის მობძანებამ ერთი ორად აამაღლა სახელოსნო სკოლის მნიშვნელობა. ხალხი, რომელიც აქამდისინ ამ დაწყობილებას თითქო ეჭვის თვალით უყურებდა, გამოფხიზლდა და სულ სხვა თვალით შეჰხედა საქმეს. დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ დიდის მადლობის ღირსნი არიან წევრნი კომიტეტისა და ყველა ისინიც, ვინც დეეხმარა ამ კეთილს საქმეს. ვისურვოთ, რომ სხვა ჩვენის მხრის მაზრებსაც მიებაძნოთ ახალციხის მაზრისათვის და თ. შერვაშიძეს იმათთვისაც გაეწვდინოს თავისი ძლიერი ხელი ასეთისავე სასარგებლო საქმეების დასაწყობად და განსახორციელებლად.

ბალდახნის სალდათი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

თუმცა „ივერიის“ № 248-ში ვითხოვე, გამოეცხადებინა გორის მომხმარებელ საზოგადოების საბჭოს რომელსამე წევრს, ან გამგეობისას, ან კიდევ საზოგადოებისას, მართლა მიაჩნდეს თუ არა თავისს ვექილს დევნა ჩვენი სისხლის სამართლის წესით, მაგრამ დღემდის არც ერთმა მათგანმა ხმა არ ამოიღო. არც საჭიროა, რადგან მე ნამდვილად დავრწმუნდი, რომ საბჭოს საზოგადოებისას, სხვათა შორის, გარდაუწყვეტია 1885 წ. მიგვცენ ჩვენ, საზოგადოების წევრნი, სისხლის სამართალში. მინდობილობის წერილში, რომელიც მიუცათ ვექილისათვის ესევე აზრი ჩაუწერიათ, ე. ი. დევნა სისხლის სამართლის წესით. იმ ხმას, ვითომ მე ზემოხსენებული წერილი დავწერე ან. ფურცელაძის წინააღმდეგ, არავითარიმე საფუძველი არა აქვს. ფურცელაძეს, როგორც ვექილს, უნდა თავისი მინდობილობა აესრულებინა. იმ წერილით მე, როგორც ჩვენში იტყვიან, საბჭოს წევრნი კბილზედ ვიკარ. ის წერილი, სხვათა შორის, აი რა გარემოებამ გამოიწვია: როდესაც ა. ფ—ძის წერილები წავიკითხე, სწორედ გითხრა, გავკვირდი, ვიფიქრე: ნუთუ ჩემმა მეგობრებმა ასე რიგად გამიმეტესმეთქი. როდესაც ზოგიერთებს შევეკითხე ამ საგნის შესახებ, გაოცებით სთქვეს: მაგისთანა მინდობილობას ვინ ჩასწერავდაო. მე დარწმუნებული ვიყავ და ვარ, რომ ბ-ნი ა. ფ—ძე იმას არ გამოიგონებდა, მე მხოლოდ მსურდა საბჭოს წევრთა სიალალმართლე გამეგო.

ს. მგალობლიშვილი

---

## რუსეთი

ერობათა ახალის დებულების ძალით მინისტრთა კომიტეტმა ზედამხედველობა უნდა იქონიოს ერობათა საქმეზე. ნ. მ. კორხუნოვმა თავისი აზრი წარმოსთქვა იურდიულ საზოგადოების კრებაზე და კრიტიკულად განიხილა ეს საგანი. კორსუნოვი იმ აზრისაა, რომ ერობათა საზედამხედველოდ საჭიროა განსაკუთრებული „საბჭო ერობათა საქმეთათვის“ დაარსდესო. ისეთ-ნაირად დაასაბუთა თავისი დასკვნა ბ-ნმა კორსუნოვმა, რომ მთელი კრება აღტაცებით მიეგება და მაშინვე დასთანხმდა. პირველად კორსუნოვი იმას შეეხო და იმაზე ილაპარაკა, რომ შეიძლებს თუ არა ეხლანდელი მინისტრთა კომიტეტი იმ საქმის გაძღოლას, რასაც ავალებენ, თუ არაო და ნათლად დაანახვა კრებას, რომ ვერ შეიძლებსო. მინისტრთა კომიტეტში მომეტებულ ნაწილად უფრო მინისტრები არიან, რომელთაც ამ კომიტეტს გარედაც ძლიერ ბევრი სიმუშაო აქვთ და სხვა საქმეებისთვის ველარ იცლიან, რომ ჩაუფიქრდნენ და რიგიანად შეისწავლონ ხოლმე. თუ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დიდი საქმე რამ გამოჩნდება, ჯერ უთუოდ ცალკე სამინისტრომ უნდა გამოიძიოს გამოიკვლიოს და მხოლოდ ბოლოს-და მოხსენდება ხოლმე მინისტრთა კომიტეტს, მაგრამ ისიც ან ამტკიცებს ან არა; გადაკეთებასა და შემუშავებას-კი არას დროს არა კისრულობს, რადგან ერთის მინისტრის საქმისა მეორემ თითქმის არა იცის. რა და რად უნდა მოეთხოვოს ერთს მინისტრს სხვა-და-სხვა საქმის სპეციალურად შესწავლა, როდესაც თავისის საქმესაგანაც თავი მაღლა ველარ აუღია. ერთის სიტყვით მინისტრთა კომიტეტს ვერ ძალუძს რაიმე საგანი თავის-თავად დაწვრილებით გამოიკვლიოს და შეისწავლოს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მინისტრთა კომიტეტის დასახმარებლად 1885 წელს დაარსეს განსაკუთრებული საბჭო რკინის-გზების საქმეთათვის და 4 წელს შემდეგ კიდევ მეორე საბჭო სატარიფო საქმისა. რასაც ეს ორი საბჭო აკეთებს, წინად ისიც მინისტრთა კომიტეტს უნდა გაეკეთებინა.

სახელმწიფოს ზედამხედველობა ერობათა საქმეზედ ისეთივე განსაკუთრებული საქმეა, როგორც რკინის-გზების საქმე და ტარიფისა. ამ საქმის გაძღოლა ისევე გაუჭირდება მინისტრთა კომიტეტს, როგორც წინად სხვები უჭირდებოდა და ამიტომ საჭიროა, ამ საქმისთვისაც ცალკე საბჭო დაარსდეს, რომლის წევრად უთუოდ რამდენიმე ერობათა წარმომადგენელიც უნდა იყოს. ერობის წარმომადგენელთა ყოლა განზრახულს საბჭოში იმითაა სასარგებლო, რომ ყოველისავე განსახილველის საგნის შესახებ საქმის მცოდნე კაცებს ექნებათ ხმა და უკეთესადაც წარმართავენ, ვიდრე სხვა ვინმეო. კორსუნოვს ვრცლად აქვს აღწერილი და აღსნილი ეს საგანი, მაგრამ უადგილობისა გამო ჩვენ მხოლოდ მოკლედ მოვიხსენიეთ იმისი მოხსენების შინაარსი.

---

## უცხოეთი

ინგლისი. გლადსტონის წერილს შემდეგ ცხადი იყო, რომ პარნელს უნდა თავი დაენებებინა ირლანდიის დასის მოთავეობისათვის, თუ მართლად ულირდა რამე თავის სამშობლო და მისი სიკეთე, რადგან გლადსტონმა იმ წერილში პირდაპირ გამოაცხადა, რომ თუ პარნელი კვლავ მოთავედ დარჩა ირლანდიის დასისა, არამც თუ ჰომრულის საქმე დაიღუპება, არამედ თვითონ მეც ძალიან გამიჭირდება მოთავეობა ლიბერალთა დასისაო. პარნელმა, არა სთქვა უარი თავის დასის მეთაურობაზე და ამ ამბავმა ყველა გააკვირვა. გააკვირვა უფრო ისინი, ვინც კარგად არ იყვნენ ჩახედებულნი საქმეში. ყველა ამისთანანი ჰკვირობდნენ, ნუ თუ ირლანდიის ბედნიერებას თავისს კერძო თავმოყვარეობას შესწირავს ისეთი კაცი, რომელმაც ამოდენი ღვაწლი დასდო ირლანდიასაო და რომლის ნატვრა აგერ ლამის შესრულდესო. საქმე-კი ნამდვილად ასე არა ყოფილა და პარნელის ქცევაც მით სულ სხვა ხასიათისა და ფერს იღებს. პარნელს ვრცელი წერილი დაუბეჭდია ამ საქმის ვითარების გამო და, მართალია, იმ წერილში კაპიტან ო'შის შესახებ სიტყვაც არ არის ნათქვამი, მაგრამ ჰომრულის ვითარება-კი ძალიან კარგად არის გამორკვეული. წერილიდამ სჩანს, რომ პარნელი და მისი დასი სრულიად თანხმანი არ არიან ჰომრულისა იმ სახით, რა სახითაც უნდა მიანიჭოს იგი ირლანდიას გლადსტონმა და მისმა დასმა. გლადსტონის აზრით, როცა ირლანდიაში ცალკე პარლამენტი დაარსდება, ინგლისის პარლამენტში ირლანდიის წარმომადგენელნი 103 მაგიერ 32 და უნდა დარჩეს. ხოლო ამავე პარლამენტს უნდა ჰქონდეს ზედამხედველობა ირლანდიის პოლიციაზე, მანვე უნდა დანიშნოს მოსამართლენი და საადგილ-მამულო ურთიერთობის გაჭირვებაც ისევ ძველს ყოფაში უნდა დარჩესო. პარნელის აზრით კი, ამ ნაირი ჰომრული რომ სრულიადაც არ მიენიჭოს ირლანდიას, ისა სჯობიან. ხოლო თუ ცალკე პარლამენტი დაარსდება ირლანდიაში და არც პოლიცია იქმნება მის ხელში, არც მოსამართლეთა დანიშვნა, არც საადგილ მამულო გაჭირვების მოსპობა, მაშ ინგლისის პარლამენტში რაღად უნდა შემცირდეს ირლანდიის წარმომადგენელთა რიცხვიო. რახან ამ წარმომადგენელთა რიცხვი შემცირდება ინგლისის პარლამენტში, მაშინ ირლანდიის პარლამენტს უნდა მიეცეს ყველა ის უფლება, როგორიც აქვს ყველა სხვა საკანონმდებლო დაწესებულებას, ესე იგი ის უფლება, რომ პოლიციასაც თვითონ უდგეს თვალყური, მოსამართლენიც თვითონ დანიშნოს, საადგილ-მამულო გაჭირვების მოსპობისთვისაც თვითონ იზრუნოსო. ყოველივე ესე გავიგე მე დაწვრილებითაო, სწერს პარნელი, შარშან შემოდგომაზე გოვარდენში, სადაც გლადსტონთან იყვნენ შეკრებილნი ყველა თავი კაცნი ლიბერალთა დასისა და, რასაკვირველია, წინააღმდეგი გავუხდი ასეთს პროექტს ჰომრულისას. წინააღმდეგი გავუხდი იმიტომ, რომ მაგისთანა რეფორმა ირლანდიას არას უშველის და ტყუილად იმედებს გაუცრუებს ირლანდიის მკვიდრთაო.

ზემოხსენებულიდამ ცხადად სჩანს, რად არ უარ-ჰყო პარნელმა მეთაურობა ირლანდიის დასისა, თუ-კი ეს უარ-ყოფა სასარგებლო იქმნებოდა მის სამშობლოსათვის. ირლანდიის დასის უმრავლესობამაც თვითონ სთხოვა პარნელს, დარჩი კვლავ მეთაურადაო. ის ჰომრული, რომელსაც ჩვენ ლიბერალები გპირდებიან, თუ გაიმარჯვეს არჩევანებზე და შეაწყნარებინეს მისი პროექტი პარლამენტს, იმათ არა ღირს, რომ შენ დაგკარგოთო და იმისთვის შენ მეთაურობა ჩამოგართვათო.

ასეთს ყოფაშია ჯერ პარნელსა და გლადსტონს შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნო ამბავი და ვნახოთ, შემდეგში კიდევ დრო რას გამოაჩენს და როგორ წავა საქმე.

---

## წვრილი ამბები

კოხის მიერ მოგონილს ჭლექის წამალზე რომ დაიწყეს ლაპარაკი გაზეთებმა, ბევრს ჯენნერის სახელიც მოაგონდა, იმ ჯენნერისა, რომელმაც ყვავილის აცრა მოიგონა და თითქმის ბოლო მოუღო ამ სენს. მართლაც და ჯენნერისა და კოხის ამბავი ერთმანეთს ძლიერა ჰგავს. ჯენნერმა 21 წელიწადი დაუცხრომლად იშრომა და იკვლია, ვიდრე ყვავილის აცრას მეცნიერულად დაასაბუთებდა და დაამტკიცებდა. არც კოხს მოუნდა ნაკლები დრო. ამანაც 16 წელიწადი იკვლია ჭლექი და აი მხოლოდ ეხლა გამოაცხადა საქვეყნოდ, რომ ჭლექის წამალი მოვიგონეო. როგორც ყვავილის აცრა ჯენნერისა, ისე კოხის მოგონილი წამალიც დიდი და დიდი სიკეთეა კაცობრიობისთვის, ორივე ერთნაირად ფრიად შესანიშნავი საქმეა სამკურნალო მეცნიერებისა. ჯენნერი და კოხი, ეს ორი შესანიშნავი კაცი, დაჯილდოვებითაც თითქმის ერთ ნაირად არიან დაჯილდოვებულნი. ჯენნერმა პირვე-

ლად 1796 წელს, 14 მაისს, აუცრა ერთს გაცს უვავილი, მაგრამ გავრცელებით-კი ჩქარა ვერა ვრცელდებოდა იმის წამლობა, რადგანაც გაზეთები ეწინააღმდეგებოდნენ და არც ხალხის მისვლა-მოსვლა იყო მაშინ ისე ადვილი, როგორც ეხლა. 1802 და 1807 წელს-კი ინგლისის პარლამენტმა დააჯილდოვა ჯენნერისა და 50,000 მანათით დააჯილდოვა. რადგან ქვეყანამ გვიან შეიტყო უვავილის აცრის ამბავი, ჯენნერმა მანამდის მოასწრო და კარგად მეცნიერულად გამოიკვლია და დაასაბუთა თავისი მოგონილი წამალი. კოხის საქმე სხვანაირად წავიდა. ჯერ საქმე დაუმთავრებელი ჰქონდა, მაგრამ წამოსთქვა თუ არა, ჭლექის წამალს მივაგენიო, ერთბაშად მთელს ქვეყანას მოედო ეს ამბავი, ავადმყოფები დაიძედოვდნენ, ეს არის ღმერთმა გვიშველაო, და ბერლინისკენ დაიწყეს დენა. კოხი ვერ ასდის ამდენს ავადმყოფს და ბევრი ცუდი შედეგიც მოჰყვა ამ გარემოებას. ჯენნერს ასე არ მოსვლია. 1799 წელს, ე. ი. სამს წელს შემდეგ უვავილის აცრის მოგონებიდგან მარტო 10,000 კაცსა ჰქონდა აცრილი უვავილი. მხოლოდ 1801 წელს გამოაცხადეს ევროპაში საყოველთაოდ, რომ უვავილის აცრა სასარგებლოაო. ბერლინშიც 1802 წელს დაარსდა „ინსტიტუტი უვავილის ამცრელთა“. გაზეთები მაინც განზე უდგნენ უვავილის აცრას და ჯერჯერობით კიდეც ეწინააღმდეგებოდნენ.

— კოხმა ორი პატარა შუშა თავის მოგონილის სითხისა საფრანგეთში გაგზავნა მეცნიერულად შესამოწმებლად— ერთი პასტერთან და მეორე—კორნილთან, მაგრამ დანიშნულებისამებრ-კი ვერ მიაღწია: საფრანგეთის საზღვარზე დამოუნის მოხელემ არ გაუშვა, ნება არა გვაქვს მთავრობისაგან ნება დაურთველი წამლები შევატანინოთ ვისმე საფრანგეთშიო. ეხლა ამ ამბის გამო დიდი მიწერ-მოწერაა საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსა და სადამოუნო უწყებას შორის.

— გერმანიის დამოუნის მოხელეები ასე ფორმალურად არ მოექცნენ ერთს ავადმყოფს, რომელიც საფრანგეთიდგან ბერლინში მოდიოდა კოხთან. თუმცა პასპორტი არა ჰქონდა, მაგრამ ერთი წერილი აჩვენა, რომელიც კოხთან იყო მიწერილი ნაცნობისაგან და სთხოვდა, ამ კაცს უწამლეო, და მაშინვე დაუყოვნებლივ გაატარეს საზღვარზე.

— გაზეთ „Standard“-ში შემდეგი ამბავი სწერია: ელბინგის პოჩტის ერთის მოხელეს 12 წლის ქალმა წერილი მისწერა ბერლინში კოხსა და სთხოვა, ცოტაოდენი თქვენი „სასწაულთ მომქმედის წამლისა“ გამომიგზავნეთ, დედა მყავს ავადაო. კოხმა მაშინვე შეუსრულა თხოვნა და იმის ცოლმა წერილიც-კი მისწერა ამ დედის მოსიყვარულე ახალგაზრდა ქალს.

◆◆

# დეპეშა

27 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ დაათვალიერეს პრინც ოლდენბურგელის მიერ გამართული საავადმყოფო, რომელშიაც ჰლექით ავადმყოფებს კოხის წესით სწამლობენ და თვით წამლობასაც უცქირეს.

„Прав. Вѣст.“-ს სწერენ ბერლინიდგან რომ პროფესორმა ფრენკელმა საშუალება აღმოაჩინა, რომ საქონელს ხუნაგი არ შეეყაროს და კოხის ასისტენტებმა კიდევ ბერინგმა და კისტომ ხუნაგი და გაშეშება გამოიკვლიეს და ამ ორივე სენის მოსარჩენი წამალი აღმოაჩინეს.

პეტერბურგში შეიკრიბა ყველა რუსეთის ჩინელი ელჩი, რომ თათბიროზაში მონაწილეობა მიიღონ შესახებ რუსეთსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ალებ-მიცემობისა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ნოემბერი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 88 | 6 91 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 137³/₄ | 138¹/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 224 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 217¹/₂ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — „ | — „ | 215¹/₄ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

## საგულისხმიერო აზრები

ვეფხვის ტყაოსნიდამ
შედგენილი და გამოცემული
ნიკო ველის-ციხელის მიერ.
ფასი ორი შაური

---

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა
ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

---

გამოვიდა და ისყიდება
ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა წიგნების გამომცემის ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

## ქართული წერის დედანი

და

ხატვის ნიმუშები
შედ. ს. დადეშქელიანისაგან.
ფასი ხუთი შაური

---

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшiе предѣлы разселенiя грузинъ по малой Азiи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იაენანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |

## კბილი ადარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373** წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—62)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцiю газеты „ИВЕРIЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

გამოვიდა და ისყიდება რუსულის ენის სახელმძღვანელო, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ:

## „РУССКОЕ СЛОВО“

или учебное руководство къ русскому языку для грузинскихъ школъ, часть первая, подготовительныя ступени.

გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალის სურათებით და რუსული დედნით.

### ფასი ექვსი შაური

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს ცალსა, ან მეტსა, მას წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის უნდა დაუმატონ სამი შაური.

ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ტფილისში, კუკიის ხიდის ყურთან, და სხვა მაღაზიებშიაც.

მეორე ნაწილიც „Русское Слово“-სი იბეჭდება და დეკემბერში უთუოდ გამოვა სტამბიდგან.

Доз. цен. Тифлисъ, 27-го Ноября 1890 г. Типо-Литографiя Б. I. Месхiева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхiевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე